ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის აპრილის 16.	№ 7 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი:

მუხ. 61. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ფეხსაცმლის ვაჭრობისათვის სავაჭრო წანამატის შემცირების თაობაზე 1927 წლის ივნისის 29-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 62. ქერელისა და ჯუთის ნაკეთობის ვაჭრობისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

„ 63. საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებასა და საწარმოში სპეციალისტებისათვის მეორე ნახევარწელს (1928-29 საბიუჯეტო წლის აპრილი—სექტემბერი) შრომის სასყიდლის მისაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსების წესის შესახებ.

„ 64. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ტყავის საქონლის ვაჭრობისათვის სავაჭრო წანამატის შემცირების თაობაზე 1927 წლის მაისის 14-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 65. სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

„ 66. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის დებულება ახალი რედაქციით.

„ 67. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმების წარდგენისა და აღნუსხვის თაობაზე“ 1928 წლის იანვრის 21-ის თარიღითა და 5 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. 2 №-რი, მუხ. 18) შეცვლის შესახებ.

„ 68. მუშა-მოსამსახურეთა მიერ წარმოებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალის მიწოდების ღონისძიებათა შესახებ.

„ 69. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ.

დადგენილება № 5 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1929 წლის თებერვლის 28.

61. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ფეხსაცმლის ვაჭრობაში სავაჭრო წანამატის შემცირების თაობაზე 1927 წლის ივნისის 29-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე და თავისი 1927 წლის ივნისის 29-ის დადგენილების (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 1630 №-ში 1927 წლის ნოემბრის 19-ს) 1-ლი კარის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესაცვლელად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

I. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის ივნისის 29-ის დადგენილების 1-ლი კარის „ა“ და „ბ“ პუნქტები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ა) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის, როდესაც ფეხსაცმელი ეძლევა საკავშირო, რესპუბლიკანური, სამხარო და საოლქო მასშტაბის ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, გარიგების თანხის მიუხედავად:

სატრანზიტო ოპერაციების წესით—1,25 პროც. (ნაცვლად 1,5 პრ.).

როდესაც ფეხსაცმელი გაიცემა სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისა, მისი განყოფილებისა და კონტორის საწყობიდან—2,5 პროც. (ნაცვლად 4,5 პრ.).

როდესაც ფეხსაცმელი ეძლევა სხვა ორგანიზაციებს:

სატრანზიტო ოპერაციების წესით—1,9 პროც. (ნაცვლად 2,25 პროც.).

როდესაც ფეხსაცმელი გაიცემა სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისა, მისი განყოფილებისა დ კონტორის საწყობიდან—3,15 პროც. (ნაცვლად 5,25 პრ.).

შენიშვნა. სასაწყობო ოპერაციების რიცხვისა და ფეხსაცმლის ფასების მაქსიმალური მოძრაობის მოქმედების შესამცირებლად დაევალოს სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატს—გააძლიეროს ფეხსაცმლის სატრანზიტო წესით გაყიდვა; ამასთანავე, სატრანზიტო წესით სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის მიერ გაყიდულ უნდა იქნეს არა ნაკლებ სარეალიზეკი ფეხსაცმლის 75 პროცენტისა.

ბ) საკავშირო, რესპუბლიკანური, სამხარო, საოლქო სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, როდესაც ეს უკანასკნელნი მისცემენ ფეხსაცმელს თავის პერიფერიას როგორც სატრანზიტო წესით, ისე სრულიად სა-

კავშირო ტყავის სინდიკატისა, მისი განყოფილებისა და კონტორის საწყობიდან ფეხსაცმლის მიმღების მისამართით—0,65 პროც. (ნაცვლად 0,75 პროც.).

როდესაც ზემოაღნიშნული სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციები გაჰყიდიან ფეხსაცმელს, რაც მათ უშუალოდ ნაყიდი აქვთ ტრესტებისაგან (ფაბრიკებისაგან) სატრანზიტო წესით საწყობიდან ან ქარხნიდან, აგრეთვე 0,65 პროც. (ნაცვლად 0,75 პროც).

II. ამა დადგენილების მიხედვით ახლად დაწესებული უკიდურესი წანამატები გავრცელდება ყველა წინად დადებულ ხელშეკრულებაზე და გარიგებაზე საქონლის იმ ნაწილის მიმართ, რაც გამყიდველს არ ჩაუბარებია ამა დადგენილების ძალაში შესვლის დროისათვის.

III. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ მეთვალყურეობა გაუწიონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

IV. ამა დადგენილების დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში სასამართლოს წესით—ა/კსფსრ სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

V. დადგენილება ესე ძალაში შედის 1928 წლის დეკემბრის 1-დან.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
კოლეგიის წევრი **მელიქი.**

საადმ.-საორგ. სამმართველოს უფროსი **ეგიაევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 71 №-ში 1929 წ. მარტის 30-ს.

დადგენილება № 6 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. თებერვლის 28.

62. ქერელისა და ჯუთის ნაკეთობის ვაჭრობისათვის უკიდურესი წანამატის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წლის ივლისის 23-ის დადგენილების (ოქმი № 147) საფუძველზე—ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაევალოს საფეიქრო ვაჭრობის ორგანოს ა/კსფსრ ფარგლებში თავისი საწყობებიდან ქერელისა და ჯუთის ნაკეთობის რეალიზაციის დროს დაადოს წანამატი ტრესტების საპრეისკურანტო ფასებს:

	თანხისათვის 50 მანეთამდე	50 მანეთიდან 3.000 მანეთამდე	3.000 მანეთზე მეტი თანხისათვის
ქერელის ნაკეთობა . . .	11,6%	4,5%	2,2%
	რაოდენ. 1 ნაჭერზე და შეკვ. ნაკლები	1 ნაჭერზე და შეკვრაზე მეტი	3.000 მანეთზე მეტი
ჯუთის ნაკეთობა . . .	11,6%	6,85%	4%

შენიშვნა. როდესაც ქერელისა და ჯუთის ნაკეთობა გაიყიდება ბითუმად, წვრილ-ბითუმად და ცალობით, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ წანამატს დაერთვის რკინისგზისა, წყალსავალი გზისა და შარაგზის ფრახტის ფაქტიური ღირებულება და ღირებულება კაპიტალისა გზაში.

2. როდესაც ქერელისა და ჯუთის ნაკეთობა გაიყიდება ცალობით სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის (საფეიქრო ვაჭრობის ორგანოს გარდა) ყველა საგასაცემო ადგილიდან და დუქნიდან, ფასებს უნდა დაერიცხოს წანამატი, რაც ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის მარტის 2-ის თარიღისა და 7/122 №-ის დადგენილების მე-6 მუხლით დაწესებულია საფეიქრო ნაკეთობის სხვა ჯგუფებისათვის.

3. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის
მოადგილე **გაჯინსკი.**

ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
კოლეგიის წევრი **მელიქი.**

საადმინ.-საორგანიზაციო სამმართველოს
უფროსი **ეგიაევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 72 №-ში 1929 წლის მარტის 31-ს.

დადგენილება № 33 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. აპრილის 4.

63. საამიერკავკასიო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებასა და საწარმოში სპეციალისტებისათვის 1928-29 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარწელს (აპრილი—სექტემბერი) შრომის სასყიდლის მისაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსების წესის შესახებ.

სპეციალისტების შრომის სასყიდლის გასაცემად 1928-29 წლის 1-ლი ნახევარწლისათვის დამტკიცებული სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების მოქმედების ვადის გასვლის გამო, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საამიერკავკასიო მნიშვნელობის იმ დაწესებულებათა და საწარმოთა სათავეში მდგომ პირთ, რომლებზედაც ვრცელდება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა, შერეულ სააქციო საზოგადოებათა და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა მოსამსახურეებისათვის პერსონალური ჯამაგირების განსაზღვრის წესის შესახებ“ 1928 წლის სექტემბრის 8-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონმდებლობა 1929 წლის იანვრის 1-თვის, გვ. 262) მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი,—წარუდგინონ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს თავისი განცხადებანი სპეციალისტების შრომის სასყიდლის გასაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ არა უგვიანეს 1929 წლის აპრილის 25-სა; განცხადებას უნდა დაერთოს ცნობები განსაკუთრებული ფონდის ყოველთვიურად დასახარჯი თანხის შესახებ და აგრეთვე იმ პირთა რიცხვის შესახებ, რომელთაც ამ ფონდიდან მიიღეს გასამრჯელო 1928-29 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში.

2. წინადადება მიეცეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა სათავეში მდგომ პირთ—წარუდგინონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, კუთვნილებისამებრ, განცხადებანი სპეციალისტების შრომის სასყიდლის გასაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ არა უგვიანეს 1929 წლის აპრილის 25-სა; განცხადებას უნდა დაერთოს ცნობები განსაკუთრებული ფონდის ყოველთვიურად დასახარჯი თანხის შესახებ და აგრეთვე იმ პირთა რიცხვის შესახებ, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ამ ფონდიდან მიიღეს გასამრჯელო 1928-29 წლის პირველ ნახევარწლის განმავლობაში.

3. სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის ნაშთი, რაც 1928-29 წლის პირველი ნახევარწლის განმავლობაში არ დახარჯულა,—გაუქმდება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ.შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი
და სატარ.-საკონფლიქტო განყოფილების გამგე **სიზონტენკო.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 77 №-ში 1929 წლის აპრილის 6-ს.

დადგენილება № 7 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1929 წლის თებერვლის 28.

64. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ტყავის საქონლის ვაჭრობაში სავაჭრო წანამატის შემცირების თაობაზე 1927 წლის მაისის 14-ის თარიღით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წლის ივნისის 26-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტის საფუძველზე და თავისი 1927 წლის მაისის 14-ის თარიღისა და 1 №-ის დადგენილების (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1480 №-ში 1927 წ. მაისის 20-ს) მე-III კარის „ა", „ბ" და „გ" პუნქტების შესაცვლელად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის მაისის 14-ის თარიღისა და 1 №-ის დადგენილების მე-III კარის „ა", „ბ" და „გ" პუნქტები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ა) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის, როდესაც ტყავის საქონელი მიეცემა სახელშწიფო და კოოპერატიულ გამოჭრა-გამოყვანის საწარმოს და ფეხსაცმლის ფაბრიკას (როგორც სინდიცირებულს, ისე არასინდიცირებულს) სატრანზიტო ოპერაციების წესით—1 პროცენტი.

როდესაც საქონელი გაიცემა სრულიად საკავშირო ტყავსინდიკატისა, მისი განყოფილებისა და კონტორის საწყობიდან—2,5 პროც..

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ტყავის საქონელი მიეცემა საკავშირო, რესპუბლიკანურ, სამხარო და საოლქო მასშტაბის სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას სატრანზიტო ოპერაციების წესით—1,25 პროც., ნაცვლად დღემდე მომქმედი 1,5 პროცენტიანი წინამატისა, და როდესაც საქონელი გაიცემა სრულიად საკავშირო ტყავსინდიკატისა მისი განყოფილებისა და კონტორის საწყობიდან—2,5 პროც., ნაცვლად 3,5 პროცენტისა.

როდესაც ტყავის საქონელი მიეცემა სხვა ორგანიზაციას სატრანზიტო ოპერაციების წესით—1,9 პროც., ნაცვლად 2,25 პროცენტისა, და სრულიად საკავშირო ტყავსინდიკატისა, მისი განყოფილებისა და კონტორის საწყობიდან გაცემის დროს—3,15 პროც., ნაცვლად 4,25 პროცენტისა.

ბ) საკავშირო, რესპუბლიკანური, სამხარო და საოლქო სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციისათვის, როდესაც იგი ტყავის საქონელს მიჰყიდის თავის პერიფერიას როგორც სატრანზიტო წესით ქარხნიდან განარიგების მიხედვით და სრულიად საკავშირო ტყავსინდიკატის მეშვეობით, ისე სატრანზიტო წესით სრულიად საკავშირო ტყავსინდიკატისა, მისი განყოფილებისა და კონტორის საწყობიდან, ტყავის საქონლის მყიდველის მისამართით—0,65 პროც.; ეს წანამატი მრეწველობის ზემოაღნიშნული საგასაცემო საბითუმო ფასებისა უნდა იქნეს მიღებული, ნაცვლად აქამდე მომქმედი 0,75 პროცენტიანი წანამატისა.

როდესაც გაიყიდება ისეთი ტყავის საქონელი, რაც ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მიერ უშუალოდ ნაყიდია ტრესტებისა და ქარხნების საწყობიდან,—აგრეთვე 0,65 პროც., ნაცვლად მრეწველობის საგასაცემო საბითუმო ფასების აქამდე მომქმედი 0,75%-იანი წანამატისა.

გ) ტყავის საქონლის სასაწყობო ოპერაციების შესამცირებლად აეკრძალოს ამა დადგენილების მე-III პუნქტის „ბ“ ლიტერში ჩამოთვლილ ორგანიზაციებს ტყავის საქონლის სასაწყობო ოპერაციების წარმოება.

შენიშვნა. „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნული ფასნართი არა ვრცელდება შემდეგ საქონელზე, რაც ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაგეგმილი არ არის: ტეხნიკური ტყავი, საძრავე ღვედი, ტეხნიკური და საფეიქრო მრეწველობის სადაზგე ღვედის ტყავი, საგალანტერიო საქონელი, ხელთათმანი, ნაბდის ფეხსაცმელი, წებო, მეზდრა, მატყლი, საქურქე ნაკეთობა და ტყაპუჭი.

2. ამა დადგენილების მიხედვით ახლად განსაზღრული უკიდურესი წანამატი გავრცელდება ყველა წინად დადებულ ხელშეკრულებაზე და გარიგებაზე საქონლის იმ ნაწილის მიმართ, რაც გამყიდველს არ ჩაუბარებია ამა დადგენილების ძალაში შესვლის დროისათვის.

3. ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ ცალკე რესპუბლიკებში დაევალებათ მეთვალყურეობა გაუწიონ ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისა და შეუსრულებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წესით ა/კსფსრ სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის 1928 წლის დეკემბრის 28-დან.

ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისრის
მოადგილე **გაჯინსკი.**

ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
კოლეგიის წევრი **მელიქი.**

ამიერკავკასიის საადმინ.-საორგან. სამმართველოს
უფროსი **ეგიაევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 77 № ში 1929 წლის აპრილის 6-ს.

დადგენილება № 118 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

65. სახელმწიფო საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

იმ მიზნების შესრულებას, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულია მუშათა კლასის წინაშე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ჩქარი ტემპისა, მრეწველობის რეკონსტრუქციისა, განსაზღრული სამეურნეო გეგმების განხორციელებისა და თვითღირებულების შემცირების სახით, რასაც, თავისი მხრით, შედეგად უნდა მოჰყვეს მშრომელი მასსების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება,—წინ ეღობება დიდი სიძნელე, რომელიც გამომდინარეობს ქვეყნის საერთო ეკონომიური ჩამორჩენილობიდან და აგრეთვე იქიდან, რომ სსრკ-რი გარსშემორტყმულია კაპიტალისტური სახელმწიფოებით. ამავე დროს ა/კსფსრ მრეწველობას თავის შედგენილობაში მოეპოება მნიშვნელოვანი საექსპორტო საგნები, როგორიც არის ნავთი, მარგანეცი და სხვ., და იგი წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო ფრონტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს, სადაც ა/კსფსრ-ის მუშათა კლასმა უნდა მოიპოოს მრავალი მტკიცე გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული მიზნების განსახორციელებლად.

ეს მნიშვნელოვანი მიზნები შეიძლება შესრულებულ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ შრომის ნაყოფიერება თვალსაჩინოდ გაიზრდება, თვითღირებულება შემცირდება, შრომის რეჟიმი გაჯანსაღდება და უყაირათობას ენერგიული ბრძოლა გაეწევა. თვალსაჩინო ფაქტორი ამ მიზნების წარმატებით განხორციელებისა არის შრომის დისციპლინის განმტკიცება, რაც მიმართულია შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

ამავე დროს-კი შრომის დისციპლინის დღევანდელი ვითარება ა/კსფსრ-ში გვანიშნებს, რომ შეიძლება დაიბადოს საფრთხე, რომელიც ძირს გამოუთხრის მრეწველობის დასახულ განვითარებას, შრომის ნაყოფიერების ტემპს და თვითღირებულების შემცირებას და შექმნის მრავალ სიძნელეს სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის.

შემჩნეულია, რომ სამეურნეო, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საწარმოში მტკიცე შრომის რეჟიმის დამყარებისა, შრომის სწორი ორგანიზაციისა და მუშა-ძალის მიზანშეწონილი გამოყენების საკითხებს. შენიშნულია, რომ მუშა-მოსამსახურეთა ცალკე ჩამორჩენილი ჯგუფეები შეუგნებლად ეკიდებიან თავის საშრომო მოვალეობის შესრულებას; არის შემთხვევები ხულიგნობისა, მავნებლობისა და სპეკულიაციისა; შემჩნეულია დღეების გაცდენა, ავადმყოფობის სიმულიაცია, სამუშაოზე დაგვიანებით მისვლის რიცხვის გადიდება, სამუშაოზე მთვრალად ყოფნა, დაუდევრად ხმარება მანქანებისა და მასალისა, ადმინისტრაციის განკარგულებათა შეუსრულებლობა და შინაგანრიგების წესების მრავალი სხვა დარღვევა, საქმიანობის უნარის უქონლობა; არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია ხელს აფარებს შრომის დისციპლინის დამრღვევ პირთ და მიმართავს ზედმეტ მუშაობას, რაც საქმის ინტერესით გამოწვეული არ არის.

შრომის დისციპლინის დაცვაში მცირე როლს არ თამაშობს აგრეთვე არასაკმარისი ყურადღება ამ საკითხისადმი მუშათა ორგანიზაციების მხრით, არასაკმაოდ მტკიცე ხაზი სასამართლო ორგანოებისა და შრომის ორგანოებისა იმ კონფლიქტების გარჩევის დროს, რაც აღიძვრის შინაგანრიგების წესების დარღვევის ნიადაგზე, და აგრეთვე საწარმოთა სუსტი ხელმძღვანელობა ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის მხრით.

რათა სახელმწიფო საწარმოში განმტკიცდეს შრომის დისციპლინა და რათა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ როგორც სამეურნეო, ისე პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და აგრეთვე მუშათა ფართო მასსებმა,— ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სრული პასუხისმგებლობა საწარმოთა ხელმძღვანელობისათვის დაეკისროს, ერთპიროვანი პასუხისმგებლობის წესით, საწარმოს ადმინისტრაციას, ისე რომ საწარმოს ხელმძღვანელნი დამოუკიდებლად განაგებდნენ მის წარმოებითი ოპერატიულ მოქმედებას, და იმავე დროს განმტკიცებულ და გაფართოებულ იქნეს ქვედა ადმნისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის (ამქრის ოსტატები, ტეხნიკოსი და სხვ.) უფლებები.

2. უფლება მიეცეს სახელმწიფო საწარმოთა (სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვ.) ადმინისტრაციას დამოუკიდებლად დაადონ მომუშავეს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ყველა გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია გადასახდელთა ტაბულით.

იმ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც ადმინისტრაციის მიერ დადებული გადასახდელით კმაყოფილი არ არის, შეუძლიან განასაჩივროს იგი საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

3. ცნობილ იქნეს, რომ სავალდებულოა თვითეულ საწარმოში იყოს შინაგანრიგების წესები და გადასახდელთა ტაბულა, და წინადადება მიეცეს საწარმოთა ადმინისტრაციას მიიღოს მტკიცე ღონისძიებანი, რათა შინაგანრიგების წესები და გადასახდელთა ტაბულა განხორციელებულ იქნეს. შინაგანრიგების წესების შედგენისა და მათი საწარმოში შემოღების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ამ წესებში გათვალისწინებულ იქნეს მუშაობის ხასიათი და ამა თუ იმ საწარმოს წარმოების პირობები, და რომ დაქირავებულთ ეძლეოდეს ფართო ინფორმაცია.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს:

ა) მისცეს შრომის ორგანოებს დირექტივები იმის შესახებ, რომ მათ, როდესაც ისინი განახორციელებენ საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის მოქმედების ზედამხედველობას შრომის დისციპლინის დარღვევისათვის გადასახდელის დადების საკითხის გამო, არ გააუქმონ საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის დადგენილება, უკეთუ ამ დადგენილებაში აღმოჩენილ ფორმალური ხასიათის გადახრას არ შეეძლო გადაწყვეტილების არსებით მხარეზე გავლენა მოეხდინა;

ბ) იხმაროს ღონისძიებანი არსებული შრომის ბირჟების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რათა დაკმაყოფილება სამეურნეო ორგანოების მოთხოვნილებისა მუშა-ძალის მიმართ სრულიად შეესაბამებოდეს წარმოების ინტერესებს; უმუშევართა სამუშაოზე გაგზავნის ღროს უპირატესობა უნდა მიეცეს იმ პირთ, რომელნიც სამუშაოდან დათხოვნილი არა ყოფილან შრომის დისციპლინის უხეში ან სისტემატიური დარღვევის გამო. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილ პირთა სამუშაოზე გაგზავნის დროს, ისინი არ უნდა გაიგზავნონ იმ საწარმოში, საიდანაც დათხოვნილ იქნენ;

გ) გამოსცეს დადგენილება იმის შესახებ, რომ წარმოებებში სავალდებულოდ შემოღებულ იქნეს მუშაობის სასადილოდ შეწყვეტა.

შენიშვნა. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს უფლება ეძლევათ, სათანადო პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, დაადგინონ იმ საწარმოთა სია, სადაც ამა პუნქტის შესრულება, მუშაობის ხასიათისა და პირობების მიხედვით, შეუძლებელია.

დ) ავმდმყოფობის სიმულიაციასთან ბრძოლის მიზნით სოციალური დაზღვევის ორგანოებმა უნდა მიიღონ ღონისძიება, რათა თავის დროზე იქნეს გამორკვეული, თუ რამდენად ჯეროვანია სამკურნალო დაწესებულების მიერ მომუშავეთა განთავისუფლება; უნდა გააძლიერონ კონტროლი შინ მყოფ ავადმყოფთა მიმართ და მიიღონ ღონისძიება, რათა დაზღვეულებს საწარმოში თავის დროზე აღმოეჩინოს სრული საექიმო დმხმარება და რათა მოისპოს რიგი მუშა-მოსამსახურეთა მიერ სხვახასხვა დახმარებისა, ცნობებისა და სხვ. მიღების დროს.

5. ჯანმრთელობის ორგანოებს ევალებათ მიიღონ ღონისძიება, რათა სამკურნალო დაწესებულებებისა და წერტილების (საექიმო-სამკურნალო პუნქტები) ქსელი მიუახლოვდეს საწარმოს და ამით განხორციელდეს დაზღვეულთათვის დაუ-

ცადებელი საექიმო დახმარების აღმოჩენა; ამასთანავე, ეს დახმარება მუშა-მოსამსახურეთ უნდა აღმოეჩინოს საღამოობით.

6. წინადადება მიეცეს კოოპერატიულ და სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს მიიღონ ღონისძიება სავაჭრო ოპერაციების რაციონალური დაყენებისათვის, დააწესონ ვაჭრობის დრო მუშათა არასამუშაო დროსთან (არასამუშაო საათები) შეფარდებით ღა მიუახლოვონ სავაჭრო წერტილები საწარმოს და მუშათა რაიონს.

7. ამასთან ერთად, წარმოების სწორი ორგანიზაციის მიზნით, დაევალოს სამეურნეო ორგანოებს იხმარონ მტკიცე ღონისძიება:

ა) რათა მოისპოს საორგანიზაციო-სამეურნეო დეფექტები (ნედლეულისა და მასალის თავის დროზე მიწოდება, მოცდენა, სამუშაო ხელფასისა, სპეც-ტანსაცმელისა და სხვ. თავის დროზე გაცემა);

ბ) რათა სავსებით და თავის დროზე იქნეს შესრულებული კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი ტეხნიკისა და სამრეწველო სანიტარიის დარგში, რაც გათვალისწინებულია სამრეწველო-საფინანსო გეგმით და რაც აუმჯობესებს საწარმოში უშიშროების ტეხნიკას და შრომის სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს;

გ) რათა დაწესებულ იქნეს სრული აღნუსხვა შრომის დისციპლინის მდგომარეობისა და იმ მიზეზებისა, რაც იწვევს შინაგანრიგების წესების დარღვევას, და აგრეთვე დადებულ გადასახდელთა სრული აღნუსხვა;

დ) რათა თვისებრივად გაუმჯობესებულ იქნეს აღნუსხვის სისტემა და რეგულიარულად სწარმოებდეს მრეწველობისა და შრომის ნაყოფიერების მდგომარეობის საკონიუნქტურო მაჩვენებლების გამოქვეყნება.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ამა დადგენილების განსავითარებლად, მიიღონ ღონისძიება, რათა:

ა) სათანადო რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებმა, კუთვნილებისამებრ, დაადგინონ წესი მათ მიერ მუშებისათვის არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისა, რაც უნდა ეცნობოს მუშათა მასსებს;

ბ) დაწესებულ იქნეს სათანადო თვალყურის დევნება ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს დააწესოს თვალყურის დევნება ამა დადგენილების აღსრულებისათვის და სამი თვის გასვლისას წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება მისი შესრულების შედეგის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი—სასახლე. 1929 წ. აპრილის 11.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

66. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის დებულების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ახალი რედაქციით შემდეგი დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს—ერთი თვის განმავლობაში შეუთანხმონ რესპუბლიკების კანონმდებლობა აღნიშნულ დებულებას.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს-ერთი თვის ვადაზე გამოაქვეყნოს ნუსხა თავის დადგენილებების, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ამა დებულების გამოცემის გამო.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს დამტკიცებული დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. № 2, მუხ. 600).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. მარტის 4.

დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შესახებ.

1. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, რომელიც დაარსებულია ა/კსფსრ კონსტიტუციის 35 მუხლის საფუძველზე და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-3 მუხლის მიხედვით,—დაეკისრება მოაწესრიგოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე შრომის ბაზარი და უმუშევრობასთან ბრძოლის საქმე, შრომის პირობები, კოლექტიური ხელშეკრულებები, შრომითი კონფლიქტები და სოციალური დაზღვევა, თვალყური ადევნოს შრომისა და სოციალური დაზღვევის კანონმდებლობის განხორციელებას და აგრეთვე ხელი შეუწყოს მუშათა ბინების მშენებლობას და მუშა-ძალის გამოყენების რაციონალიზაციას.

2. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი უშუალოდ ემორჩილება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, და თავისი მოქმედებით იგი ანხორციელებს, როგორც ამ ორგანოებისა, ისე სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს და შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებებსა და დირექტივებს.

3. შრომის ბაზრისა და უმუშევრობასთან ბრძოლის საქმის მოწესრიგების სფეროში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) მოაწესრიგოს ა/კსფსრ ფარგლებში შრომის ბაზარი და შრომითი შუამავლობა, თვალყური ადევნოს მუშა-ხელის მოგროვებას და მის სხვადასხვა ადგილას გაგზავნას და აგრეთვე სარეწაოზე მასსიურ და ჯგუფურ მიქცევას; ბ) შეიმუშაოს ღონისძიებანი უმუშევრობასთან ბრძოლისა და უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის სფეროში; გ) შეიმუშაოს, დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, ღონისძიებანი კვალიფიციური მუშა-ხელის შექმნისათვის; დ) თვალყური ადევნოს სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში მოზარდთა მაქსიმალური რიცხვის ნორმების განხორციელებას და მისი შევსების წესს; ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი უმუშევართა სწავლებისა და ხელახალი სწავლებისათვის, შრომის ბაზრის პირობებისა და სახალხო მეურნეობის საჭიროების მიხედვით, და თვალყური ადევნოს მათ განხორციელებას; ვ) დაამყაროს წესი პროფესიონალური ექსპერტიზისა და პრაქტიკული გამოცდების წარმოებისა სამუშაოს მძებნელთა კვალიფიკაციის გამოსარკვევად და აგრეთვე წესი პროფესიონალური შერჩევისა და პროფესიონალური კონსულტაციისა ახალგაზრდობისათვის; ზ) შეიმუშაოს ღონისძიებანი ინტელექტუალური შრომის მომუშავეთა პერიფერიაზე მიქცევისა და თვალყური ადევნოს ამ ღონისძიებათა განხორციელებას; მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ საგეგმო ორგანოების მაერ ინტელექტუალური შრომის მომუშავეთა მომზადებისათვის წარმოებულ მუშაობაში; ₯ონაწილეობა მიიღოს იმ პირთა მოთავსებაში სამუშაოზე, რომელნიც ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებს; თ) შეისწავლოს მუშათა ბაზრის მდგომარეობა ა/კსფსრ-ში, თვალყური ადევნოს საქმეში მყოფ მუშა-ძალის მოძრაობას და მუშათა შედგენილობაში მომხდარ ცვლილებებს და მონაწილეობა მიიღოს მუშა-ძალის მდინარეობის შესწავლისა და მისი ბრუნვის მოწესრიგებისათვის წარმოებულ მუშაობაში; ი) მონაწილეობა მიიღოს სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში და იმ ეკონომიურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა შემუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას (გადასახლებისა და შინა-მრეწველობისა და ხელოსნური მრეწველობის განვითარების საკითხები, მუშა-ძალის რაციონალურად გამოყენებისა და ახალ საწარმოთა განვითარების საკითხები და სხვ.); კ) აწარმოოს სპეციალისტების ჯუმლობრივი აღნუსხვა ა/კსფსრ-ში იმ წესით და იმ ფარგლებში, რაც დადგენილია კანონით.

4. შრომის პირობების მოწესრიგების სფეროში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაეკისრება: ა) მოაწესრიგოს საერთოდ, ა/კსფსრ ფარგლებში, სამუშაო ხელფასი და, კერძოდ, ხელმძღვანელობა გაუწიოს სამუშაო ხელფასის სა-

ხელმწიფო დანორმვის განხორციელებას; ბ) მიაკუთვნოს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ა/კსფსრ ცალკე ადგილები სამუშაო ხელფასის სატარიფო ზოლებს, რაც დადგენილია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ; გ) დააწესოს სათანამდებობო ჯამაგირები და პერსონალური ზედნართი ა/კსფსრ სახელმწიფო დაწესებულებათა მომუშავეთათვის და საამიერკავკასიო მნიშვნელობის იმ საწარმოთა მომუშავეთათვის, რომლებზედაც ვრცელდება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო დანორმვა; დ) განსაღზვროს განსაკუთრებული ფონდები სპეციალისტებისათვის შრომის სასყიდლის მისაცემად ა/კსფსრ დაწესებულებებში და საამიერკავკასიო მნიშვნელობის ამა თუ იმ საწარმოში, რომლებზედაც არა ვრცელდება სამუშაო ხელფასის სახელმწიფო დანორმვა, და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, გასცეს ნებართვა პერსონალური ჯამაგირების დაწესებისათვის კანონით დადგენილ ფარგლებში; ე) მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ ბიუჯეტის პროექტის იმ ნაწილის შედგენაში, რომელიც სამუშაო ხელფასს შეეხება, თვალყური ადევნოს სამუშაო ხელფასის თავის დროზე და სათანადოდ გაცემას და სამუშაო ხელფასის სავალდებულო სახელმწიფო მინიმუმის დაცვას; ვ) დაამყაროს წესი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შრომის დაცვისა და მისი პირობების გაუმჯობესებისათვის გამოცემული ნორმების განსახორციელებლად, და გამოსცეს, ა/კსფსრ პირობების მიხედვით, წესები, რაც განავითარებს და შეავსებს ამ ნორმებს, კერძოდ, გამოსცეს წესები უშიშროების ტეხნიკისა (მათ რიცხვში სამთო მრეწველობის), სამრეწველო სანიტარიისა და პროფესიონალური ჰიგიენის საკითხების შესახებ; ზ) მონაწილეობა მიიღოს, სპეციალური კანონით დადგენილი წესისამებრ, იმ სახსარის განაწილებაში, რაც გადადებულია შრომის დაცვის ღონისძიებათათვის, და თვალყური ადევნოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მეშვეობით, რათა ეს სახსარი თავის დროზე და მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული; თ) განიხილოს და დაადასტუროს, კანონით დადგენილი წესისამებრ, შრომის დაცვის სფეროში ტეხნიკური პროექტები იმ სამრეწველო და სხვა საწარმოს აგებისა, გადაკეთებისა, გაწყობისა და ხელახალი გაწყობის შესახებ, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარეობს ან შენდება, როდესაც ამ პროექტებს ამტკიცებენ ა/კსფსრ ორგანოები, და აგრეთვე მისცეს დასკვნა აღნიშნული პროექტების შესახებ, როდესაც მათ ამტკიცებენ სსრ კავშირის ორგანოები; ი) მოაწყოს ყველა სახის შრომის ინსპექციები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას, მოაწყოს ზედამხედველობა შრომის კანონმდებლობის და შრომის შესახებ გამოცემული განკარგულებების განხორციელებისათვის; კ) შეიმუშაოს ღონისძიებანი უბედურ შემთხვევებთან და პროფესიონალური ხასიათის მოწამვლასთან ბრძოლისათვის; ლ) მოაწესრიგოს სამუშაო დრო და შრომის სხვა პირობები.

შენიშვნა. სამთო მრეწველობის მიმართ „ე“ პუნქტში გათვალისწინებული ნორმები უშიშროების ტეხნიკისა დადგენილ უნდა იქნეს სსრკ სამთო დებულებაში განსაზღვრული წესის დაცვით.

5. კოლექტიური ხელშეკრთლებებისა და შრომის კონფლიქტების მოწესრიგების სფეროში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) გამოსცეს, ა/კსფსრ ფარგლებში, წესები კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ, საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიებისა, მომრიგებელი კამერებისა, სამედიატორო სასამართლოებისა და სხვა საკონფლიქტო ორგანოების მოწყობისა და მოქმედების შესახებ და აღნიშნული ორგანოების სათანადო ორგანიზაციისა და მოქმედებისათვის ზედამხედველობის განხორციელების შესახებ კანონით დადგენილ ფარგლებში; ბ) რეგისტრაციაში გაატაროს კოლექტიური ხელშეკრულებანი და მოაწყოს, კანონით დადგენილ ცალკე შემთხვევაში, შრომის კონფლიქტების სამომრიგებლო-სამედიატორო წესით გარჩევა; გ) განახორციელოს ზედამხედველობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების იმ დადგენილებათა მიმართ, რაც მიღებულ იქნება აღნიშნულ ორგანოებთან მოწყობილი სამომრიგებლო კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამო; დ) განახორციელოს ზედამხედველობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის სფეროში შესრულებული მოქმედების კანონიერების მიმართ.

6. მუშა-ძალის გამოყენების რაციონალიზაციისათვის ხელის შესაწყობად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი მონაწილეობას მიიღებს ყველა ღონისძიებათა შემუშავებაში, რაც მიმართული იქნება ა/კსფსრ ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულებაში შრომის ნაყოფიერების გაძლიერებისა და წარმოებითი რეჟიმის (შრომის დისციპლინის) დამყარებისათვის.

7. მუშათა ბინების მშენებლობისათვის ხელის შეწყობის სფეროში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაეკისრება: ა) გამოარკვიოს, ა/კფსრ ფარგლებში, ა/კსფსრ სათანადო ორგანოების მეშვეობით, თუ რა რაოდენობის ბინები ესაჭიროებათ მუშა-მოსამსახურეებს; ბ) შეიმუშაოს მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმები და თვალყური ადევნოს მათ განხორციელებას; გ) თვალყური ადევნოს, რათა იმ დაწესებულებათ, საწარმოთ, ორგანიზაციათ და პირთ, რომელნიც მუშათა ბინების მშენებლობას აწარმოებენ, მიეცეს კანონით დაწესებული შეღავათები, და შეიმუშაოს საკანონმდებლო ღონისძიებანი მუშათა საბინაო მშენებლობის სფეროში; დ) თვალყური ადევნოს, რათა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდში შესული სახსარი სათანადოდ იქნეს შენახული და გამოყენებული; ე) შეადგინოს გეგმა ამიერკავკასიის მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდში შესული სახსარის ხარჯვისა და აგრეთვე აღნუსხოს ეს სახსარი და თვალყური ადევნოს, რათა იგი სათანადოდ იქნეს შენახული და გამოყენებული; ვ) აღნუსხოს მუშათა საბინაო მშენებლობა, რაც ა/კსფსრ ტერიტორიაზე ხორციელდება; ზ) მეთვალყურეობა გაუწიოს საცდელ-საჩვენებელ საბინაო მშენებლობას ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

8. სოციალური დაზღვევის სფეროში ა/სფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაეკისრება: ა) შეიმუშაოს ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი; ბ) შეიმუშაოს სოციალური დაზღვევის ფონდების მოწესრიგების გეგმა ა/კსფსრ მასშტაბით და განახორციელოს ეს მოწესრიგება, რისთვისაც გადაიტანს სახსარს ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის ფონდში და ამ ფონდით განამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური დაზღვევის

ფონდებს; გ) განაგოს ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის ფონდის სახსარი; დ) დაადგინოს, მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, წესი სადასაზღვეო გადასახადის გადახდევინებისა, დაზღვეულთათვის დახმარებისა და პენსიის დანიშვნისა და გაცემისა და სხვა სახის უზრუნველყოფისა — სოციალური დაზღვევის წესისამებრ; ე) შეამუშაოს ზოგადი საკითხები, რაც დაკავშირებულია დაზღვეულებისა და მათი ოჯახებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენასთან და აგრეთვე ექსპერტიზის ორგანოების მოქმედებასთან; ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს, მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, სამკურნალო კონტროლის საქმეს; ზ) მოაწყოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველოს სანიტარულ-საკურორტო დაწესებულებანი და დასვენების სახლები და აწარმოოს მათი გამგებლობა; შეიმუშაოს საამიერკავკასიო გეგმა დაზღვეულებისა და მათი ოჯახებისათვის სანიტარულ-საკურორტო დახმარების აღმოჩენისა; თ) მოაწყოს სამეცნიერო-საკვლეო და საექსპერიმენტალო დაწესებულებანი საამიერკავკასიო მნიშვნელობისა ინვალიდთა აოასრული შრომის გამოყენების მეთოდების შესასწავლად და განაგოს ეს დაწესებულებანი; ი) შეიმუშაოს საკითხები სოციალური დაზღვევის ორგანოების ორგანიზაციისა და სტრუქტურისა და აგრეთვე ამ ორგანოების საორგანიზაციო ხარჯის უკიდურესი ნორმების დაწესების შესახებ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის მიხედვით; კ) დასდოს საამიერკავკასიო მნიშვნელობის ამა თუ იმ საწარმოთან და ა/კსფსრ დაწესებულებასთან შეთანხმებანი,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სოციალური დაზღვევის ორგანოების თანხმობით,—მათ მიერ სოციალური დაზღვევის გადასახადის ვალის დაფარვის წესის შესახებ; ლ) განიხილოს საჩივარი სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური კომიტეტების მოქმედების გამო და აგრეთვე გააუქმოს და შესცვალოს ამ კომიტეტების განკარგულებანი; მ) განიხილოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს წევრათა პროტესტები აღნიშნული საბჭოს დადგენილების გამო, მისი დებულების თანახმად; ნ) განიხილოს სოციალური დაზღვევის საფინანსო-სამეურნეო გეგმები.

9. საგეგმო და სასტატისტიკო მუშაობის სფეროში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს დაეკისრება: ა) შეიმუშაოს, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე, გენერალური, საპერსპექტივო და წლიური გეგმები იმ საკითხების შესახებ, რაც ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კომპეტენციას მიეკუთვნება, და მონაწილეობა მიიღოს ა/კსფსრ ორგანოებში წარმოებითი-საფინანსო გეგმების იმ ნაწილის შემუშავებასა და განხილვაში, რაც შრომის დაცვას შეეხება; ბ) სისტემატიური მეთვალყურეობა გაუწიოს,—ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და ა/კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით დადგენილი წესისამებრ,—შრომის ბაზრისა, სამუშაო ხელფასისა და შრომის ნაყოფიერების კონიუნქტურას და აგრეთვე შრომის დაცვისა და სოციალური დაზღვევის მდგომარეობას; გ) გაატაროს, ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული შრომის სტატისტიკის თანაბარი ფორმები; დ) დააწესოს, ამიერკავკასიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად, შრომის სტატასტიკის იმ ნაწილის თანაბარი ფორმები, რასაც შეიმუშავებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი; დაამუშაოს სათანადო სტატისტიკური მასალები და აწარმოოს მათი შეჯუმლვა, აგრეთვე შეადგინოს პერიოდული მიმოხილვები და ანგარიშები; ე) დაადგინოს წესები ა/კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებში იმ სტატისტიკური ცნობების წარდგენისა, რაც დამუშავებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ; ვ) დაამუშაოს ტრავმატიზმისა, პროფესიონალური ხასიათის მოწამვლისა და პროფესონალურ ავადმყოფობათა მასალა.

შენიშვნა 1. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი განახორციელებს სტატისტიკურ მუშაობას ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნულ ფორმებს და უწყების-გარეშე ანგარიშების ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებში და მათ ადგილობრივ ორგანოებში წარდგენის წესებს—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი დაადგენს ა/კსფსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

10. დაკისრებული მოვალეობის განსახორციელებლად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა: ა) შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოებს დადგენილებათა პროექტები საერთოფედერატიული მნიშვნელობის შრომის მიმდინარე კანონმდებლობის საკითხების შესახებ—საერთო-საკავშირო შრომის კანონმდებლობის ძირითადი დებულებებისა და ა/კსფსრ ადგილობრივი პირობების მიხედვით; აღძრას ხოლმე ა/კსფსრ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებისა და აგრეთვე სსრ შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე საკითხი შრომის ძირითადი კანონების შეცვლისა და დამატების საჭიროების შესახებ; ბ) დაადგინოს წესი ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის იმ განკარგულებათა ძალაში შესვლისა, რომელიც გატარებულ უნდა იქნენ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში; გ) განმარტოს ა/კსფსრ შრომის კანონმდებლობა, გამოსცეს, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კომპეტენციის ფარგლებში, დადგენილებები, ინსტრუქციები და ცირკულიარები; დ) განახორციელოს ზედამხედველობა ა/კსფსრ-ში შრომის კანონმდებლობის თანაბარი შეფარდებისათვის; ე) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მოქმედებას—ა/კსფსრ კონსტიტუციით, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით და სპეციალური კანონებით დადგენილი წესისამებრ; ვ) გამოიკვლიოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემაეალი რესპუბლიკების 'შრომის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ამ სახალხო კომისარიატებისა და მათი ადგილობრივი ორგანოების მუშაობა და აგრეთვე გამოიკვლიოს იმავე წესით ცალკე საწარმოთა და დაწესებულებათა მდგომარეობა—მათში შრომის პირობების შესასწავლად; ზ) შეაჩეროს და გააუქმოს ა/კსფსრ

შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების დადგენილებანი და განკარგულებანი—ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებით დადგენილი წესისამებრ; თ) განაპროტესტოს, დადგენილი წესისამებრ, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობების დადგენილებანი; ი) განაპროტესტოს, დადგენილი წესისამებრ, სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის ესა თუ ის დირექტივი და დავალება, უკეთუ იგი არ შეესაბამება სსრ კავშირისა ან ა/კსფსრ კანონმდებლობას და აგრეთვე ა/კსფსრ უმაღლესი ორგანოების დირექტივებსა და დადგენილებებს; კ) აწარმოოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა იმ საკითხების დარგში, რაც ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კომპეტენციას მიეკუთვნება, და გამოსცეს სათანადო მასალა; ლ) მოაწყოს, არსებული წესისამებრ, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედებისათვის საჭირო სამეცნიერო-საკვლევო და საჩვენებელი დაწესებულებანი და აგრეთვე შრომის სახალხო კომისარიატების ორგანოების მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ მუშაობას; მ) შეიმუშაოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატისა და ამ კომისარიატთან არსებული დაწესებულებების სტრუქტურა, დებულებები და შტატები და აგრეთვე შეიმუშაოს ღონისძიებანი აპარატის რაციონალიზაციისათვის; ნ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე შრომის ორგანოების მოწყობას და მოქმედებას და, კერძოდ, შეიმუშაოს მათი შტატი და ხარჯთაღრიცხვა; გაანაწილოს კრედიტები და კონტროლი გაუწიოს მათ გამოყენებას; გაუწიოს ინსპექტირობა აღნიშნულ ორგანოებს და შეიმუშაოს ღონისძიებანი ამ ორგანოების აპარატის რაციონალიზაციისათვის

შენიშვნა 1. სოციალური დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მიერ ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის ფონდისათვის გადადებული ანარიცხების გამო ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა უშუალო ურთიერთი მიმართვა იქონიოს აღნიშნულ ორგანოებთან.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „ზ“ პუნქტში გათვალისწინებული უფლება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა არ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება თუ განკარგულება ემყარება ამ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებას.

ამ შემთხვევაში ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი შეიტანს პროტესტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

11. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისსრიატის სათავეში სდგას ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი, რომელთანაც განწესებულია მისი მოადგილე და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგია. შრომის სახალხო კომისრისა, მისი მოადგილისა და კოლეგიის წევრთა უფლება-მოვალეობა განისაზღვრება ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების სათანადო მუხლებით.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში მოეწყობა განყოფილებები და სხვა სათანადო ნაწილები, მათ შორის—სოციალური დაზღვევის მთავარი სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ განყოფილებათა და ნაწილთა რიცხვს, მათ სახელწოდებას, სტრუქტურას და ძირითად მიზნებს განსაზღვრავს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისართან შეთანხმებით, ამა დებულებისა, ა/კსფსრ სხვა კანონდებულებისა და სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივების საფუძველზე.

აღნიშნულ განყოფილებათა და ნაწილთა დებულებებს დაამტკიცებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი.

შენიშვნა. სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს აქვს იურიდიული პირის უფლებები და იგი ინახება სოციალური დაზღვევის სახსარით.

12. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეიძლება განწესებულ იქნეს საუწყებათაშორისო ორგანოები და სამეცნიერო დაწესებულებები, რომელნიც მოეწყობიან და იმოქმედებენ ა/კსფსრ მთავრობის სპეციალურ დადგენილებათა საფუძველზე.

13. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ქვემდებარე ორგანოებია: ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები, მათი ქვემდებარე შრომის ორგანოებით (შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულნი ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქებში, შრომის განყოფილებანი, შრომის ინსპექტორების კამერები), და აგრეთვე სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური კომიტეტები, მათი ქვემდებარე ორგანოებით.

დადგენილება № 119 ა/სკფრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

67. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმების წარდგენისა და აღნუსხვის თაობაზე“ 1928 წლის იანვრის 21-ის თარიღითა და 5 №-ით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1928 წ. მე-2 №-რი, მუხ. 18) შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმების წარდგენისა და აღნუსხვის შესახებ“ 1928 წლის იანვრის 21-ის თანრიღითა და 5 №-ით გამოცემული დადგენილების 1-ლ, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლში სიტყვები: „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული მუშათა ბინების მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამხმარე კომიტეტები“ შეიცვალოს სიტყვებით: „ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები.“

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აპრილის 11. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 120 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

68. მუშა-მოსამსახურეთა მიერ წარმოებული ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალის მიწოდების ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს საბინაო კოოპერაციას ძირითადი ორგანოს მნიშვნელობა იმ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საშენი მასალის მიწოდების საქმეში, რასაც ანხორციელებენ მუშა-მოსამსახურენი თავისი საჭიროებისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს—მის მიერ დასაგეგმი საშენი მასალის განაწილების დროს გაითვალისწინოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირებისათვის საჭირო საშენი მასალა, რაც აუცილებელია მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოსამარაგებლად.

შენიშვნა. ისეთ რაიონებში, სადაც საბინაო კოოპერაციის კავშირი არ არის, მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის იმ საშენი მასალის მიწოდებას, რომელსაც ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ჰგეგმავს, აწარმოებენ სახელმწიფო სავაჭრო საწარმონი; ამ შემთხვევაში საშენი მასალის მიწოდება მოხდება იმ წესით, რაც განსაზღვრულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „სახელმწიფო ცალობითი ვაჭრობის შესახებ“ 1927 წ. აგვისტოს 26-ის თარიღითა (სსრ კავშირის კან. კრებ. 1927 წ. 53 №-რი, მუხ. 457) და „სახელმწიფო უნივერსალური ვაჭრობის რაციონალიზაციის შესახებ“ 1928 წლის აპრილის 27-ის თარიღით (სსრ კავშირის კან. კრებ. 1928 წ. 29 №-რი, მუხ. 265) გამოცემული დადგენილებებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ვალდებულჰყონ ადგილობრივი კომუნალური ბან-

კები, რათა მათ წარუდგინონ ხოლმე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირებს,—არა უგვიანეს ყოველი წლის იანვრის 1-სა,—ცნობები მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების გეგმის შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ვალდებულჰყონ ადგილობრივი კომუნალური ბანკები, რათა მათ მისცენ ხოლმე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირებს ავანსები საშენი მასალის დასამზადებლად გეგმის 50%-ის რაოდენობით, ისე, რომ ინდივიდუალური მეაღნაგენი საშენ მასალას საბინაო კოოპერაციის მეშვეობით იღებდნენ.

5. მიენდოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოსთან შეთანხმებით, ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილების დამტკიცების დღიდან, გამოსცეს ინსტრუქცია მუშათა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის დეფიციტიანი საშენი მასალის მიწოდების წესის შესახებ, რომელ ინსტრუქციაშიაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს: ა) უზრუნველყოფა იმისა, რომ საშენი მასალა უპირატესად მიეწოდოს იმ ინდივიდუალურ მეაღნაგეთ მუშა-მოსამსახურეთა წრიდან, რომელნიც მშენებლობას კოლექტიურ პრინციპზე ანხორციელებენ; ბ) ფორმები ინდივიდუალურ მეაღნაგეთა კოლექტივებად გაერთიანებისა მასალის ერთად დასამზადებლად, და აგრეთვე საფუძველი ასეთ კოლექტივებისათვის მასალის შეღავათიან პირობებში მისაწოდებლად, იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი მშენებლობას კოლექტიურ პრინციპზე განახორციელებენ; გ) წესი ინდივიდუალურ მეაღნაგეთათვის იმ საჭირო საშენი მასალის აღნუსხვისა, რომლის დაგეგმვასაც აწარმოებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი; დ)ორგანიზაცია კონტროლისა, რათა ინდივიდუალურ მეაღნაგეთა მიერ საბინაო მშენებლობის საჭიროებისათვის მიღებული დეფიციტიანი საშენი მასალა გამოყენებულ იქნეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ; ე) ზემოაღინ'შნული მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალურ მეაღნაგეთაგან ავანსების მოკრიფა საშენი მასალის თავის დროზე დამზადებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. ნახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. აპრილის 11.

დადგენილება № 121 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

69. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს დებულების შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის სექტემბრის 2-ის თარიღის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. 10 №-რი, მუხ. 719) დამტკიცებული ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს დებულების შესაცვლელად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს დებულების მე-4 მუხლის „თ“ პუნქტი მაღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„თ) გამოჰყოფს თავის მუდმივ წარმომადგენლებს სრულიად საკავშირო საბინაო კოოპერაციის საბჭოში“.

2. მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. საბჭოს შეადგენენ: ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირების წარმომადგენელნი—სამი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა, სამი სომხეთის სს რესპუბლიკისა და სამი საქართველოს სს რესპუბლიკისა; ოთხი წარმომადგენელი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ორი წარმომადგენელი ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი მუშა-ქალთა განყოფილებისა, ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიისა და ახალგაზრდა ლენინელთა სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის საკონტროლო კომისიისა“.

3. მე-6 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს იმ წევრებს, რომელთაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბინაო კოოპერაციის კავშირები ჰგზავნიან,—აარჩევს საბინაო კოოპერატიული ორგანიზაციების რწმუნებულთა რესპუბლიკანური კრება ერთი წლის ვადით; ამასთანავე, უკეთუ რწმუნებულთა კრების მოწვევა მეუძლებელია, წარმომადგენლები გაიგზავნებიან ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს მორიგ სხდომებზე რესპუბლიკანური საბინაო კავშირის გამგეობის ან საბჭოს მიერ.

ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს იმ წევრებს, რომელთაც ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ჰგზავნიან,—დანიშნავენ ეს დაწესებულებანი იმავე ვადით“.

4. მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. საბჭო აარჩევს პრეზიდიუმს იმ ვადით, რა ვადითაც იგი თვით არის უფლებამოსილი; პრეზიდიუმის რიცხვობრივ შედგენილობას განსაზღვრავს ამიერკავკასიის საბინაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმი. პრეზიდიუმის სხდომა მოიწვევა საჭიროებისდამიხედვით, ხოლო 2 თვეში ერთხელ მაინც.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

ტფილისი-სასახლე. 1929 წ. აპრილის 18.

შეცდომის გასწორება.

	დაიბეჭდა	**უნდა იყოს**
ა/კსფსრ კან. კრებ. 1929 წ.მე- 5 №-რი, მუხ. 44 „189, ლ „ბ“.	. . . რომელთაც აღნიშნული ასაკის მიღწევამდე შრომის უნარი არ დაუკარგავთ;	. . . რომელთაც აღნიშნული ასაკის მიღწევამდე შრომის უნარი დაუკარგავთ;

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 853. დაიბეჭდა 800.